

GENERATION 2010



თაობა 2010
მოთამაშე
მწვანე პდანეტა
პროტესტის ხედვლება
ძაღადობა სკოლებში
ოქროს ხედები
ზღვარი

პორტრეტი
ჟუდიენ ასანჟი
ნიკა კობაროვი

ინტერვიუ
NO RIGHTS RESERVED

ბიზნესი

სამართალი

მედიკა

ტექნოლოგიები

სახელმწიფო
მართვა

კომპიუტერული
მეცნიერებები

ტურიზმი

ჯანდაცვა



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY



WWW.CU.EDU.GE
ტელ: (+995 32) 237 77 77



კავკასიის მედიის სკოლა
CAUCASUS SCHOOL OF MEDIA

აბიტურიენტებისთვის!



2013 წლის მიღება საბაკალავრო პროგრამებზე

მასობრივი კომუნიკაცია / ჟურნალისტიკა

75 ადგილი

აუდიოვიზუალური ხელოვნება

(ფოტოგრაფია, დოკუმენტური ფილმი, ტელერეჟისურა)

20 ადგილი



„CSM გაქვევთ თანამედროვე სამყაროს ნაწილად“.

ნინო ჟიჟილაშვილი

კავკასიის მედიის სკოლის დეკანი



csm@cu.edu.ge

www.csm.edu.ge



Generation 2010 ჩვენი თაობაა. ეს კი, ახალგაზრდული ჟურნალია, რომელიც კავკასიის მედიის სკოლის სტუდენტებმა, ერთი სასწავლო კურსის ფარგლებში, სამ თვეში შევემეინით. ჟურნალის გამოცემაში კავკასიის უნივერსიტეტი და სპონსორები დაგვეხმარნენ.

კონცეფციასა და მისიაზე ბევრი ვიმსჯედეთ და ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ ჟურნალში ყოფილიყო ყველა ის გზავნილი, რაც დიდი ხანია, გვინდოდა ხმამაღლა გვეთქვა.

ახალგაზრდების პრობლემებზე, მათ სურვილებზე სასაუბროდ მედიაში არც თუ ისე დიდი სივრცეა. ეს ჟურნალი ამ დანაკლისის შევსების მცდელობაა. ვხვდებით, რომ ახლა მნიშვნელოვანი გარდაქმნების დროა. ამიტომ, გვინდა ცვლილებებისთვის მზადების პროცესში ჩვენც ჩავერთოთ და სტერეოტიპებსა და ტაბუებზე, კრიტიკულ და თავისუფალ აზროვნებაზე, სამყაროს კონსერვატორულ და თანამედროვე იდეებზე, ჩვენს დამოკიდებულებებზე ღია საუბარი დავიწყოთ. ყველა ესე, ინტერვიუ და სტატია მხოლოდ ჩვენთვის აქტუალურ თემას და პრობლემას ეხება. პროცესებში ჩართვას, სწორედ ასე – განხილვით, დაფიქრებით ვიწყებთ.

გამოცემაზე მუშაობა ჩვენთვის, ერთდროულად, დიდი პასუხისმგებლობა და გამოწვევა იყო. დიდი მადლობა ყველას, ვინც მოგვცა საშუალება, ჩვენი სათქმელი საჯაროდ გამოგვეტანა.



გარეკანის ფოტო: თავო რობაქიძე

ნომერზე მუშაობდნენ

თამარ ახობაძე, მარიკა ლუღუნიძე, სოფო ვედიშვილი, ნათია ზარდიაშვილი, ნათია ჩეხურიძე, თათო ლვინიანიძე, ირინა კურტანიძე, ნიკი პერკინი, დეა კურკუმუღი, ანო მაისურაძე, ნინო ღვინთაია, დიმი ნოღია, ნინო შენაბღე, მერი ხვიჩია, თავო კვაჭანტირაძე, ნია ჩინაშვილი, მედი ღონაძე, ანა ნონიკაშვილი, თავო ქვედიძე, შავო ნახუცრიშვილი, ელენე ზოიძე, დათი ხარაიშვილი, გვანცა ყუდიშვილი, მარიკო დაბრუნდაშვილი, ქეთი მიქიაშვილი, გიორგი მაისურაძე, თეონა ნოზაძე, ელენე ყოფიანი, მერაბ გორგოძე, მარიამ პავლიაშვილი, სოფო კობაძე, ნინო დომაძე.

გამოცემის ვიზუალური მასალის მონტაჟისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ანდრია ლორიძეს ნაშუქვერებისთვის და **ფოტოგრაფებს:** დიტო თელიაშვილს, ღავით მესხს, მარიკა ქოჩიაშვილს, თამო ცაგარეიშვილს, გიორგი გოგუას, თავო რობაქიძეს

სტამბა: სემანი

ჟურნალი გამოცემულია კავკასიის მედიის სკოლის სასწავლო კურსის – ჟურნალის გამოცემა – ფარგლებში.

სასწავლო კურსის ავტორი, დეპტორი: ნინო დომაძე.



Caucasus School of Media wishes to thank the English Language Fellow Program, under the auspices of the United States Embassy, for helping to fund this project.



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

GENERATION 2010

სარჩევი

06

ამბაბი

08

ჩემი აზრით

ოშის შემდეგ

სახელი

ტესტი ჰუმანურობაზე

სახელიდან ნასვლა

18

თაობა 2010

პროტესტის ხედვება

კამუფლაჟი

ლაბორატორია 1918

მოთამაშე

ჩემი გზა

36

ინსპირაცია

პერსონა ნონ გრატა

42

კორმორატი

Full of Sun

48

მრანდი

სიღამაზის სტანდარტები

ოქროს ხედები

57

წერილი

წერილი ტადინიდან

60

თემა

სად გადის ზღვარი

მწვანე პდანება

No rights reserved

ძაღაღობა სკოლაში

76

ინტერვიუ

Interview with Michael Turner



8



25



42



48



60-იანების მუსიკა

60-იანი წლებიდან მნიშვნელოვნად იცვლება მსოფლიო მუსიკალური ინდუსტრია. ყალიბდება ახალი სუბკულტურა, რომელმაც გავლენა იქონია მუსიკალურ ტენდენციებზე და საერთო სამოგადოებრივ ღირებულებებზე. სამოგადოება აფართოვებს ცნობიერების საზღვრებს, თავისუფლება ღვთაებური შეხედულებებისგან, კონსერვატიზმს ადრენალიზა უპირისპირდება, ფეხს იკიდებს ჰიპური სუბკულტურა.

პირველად სიტყვა “ჰიპი” (ინგ: Hippie) გაისმა ნიუ იორკის ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში, სადაც ეს სახელი უწოდეს ახალგაზრდა სტუდენტების ჯგუფს, რომლებიც ვიეტნამის ომს აპროტესტებდნენ. მათი ფუნდამენტური პრინციპები იყო გათავისუფლება კონსერვატორული შეხედულებებისგან, თავისუფალი სიყვარულის პროპაგანდა, პაციფიზმი. “Make Love, Not War” — ეს მათი ცნობილი ღოზუნგი იყო. ეტანებოდნენ სხვადასხვა ნარკოტიკს, როგორც პროტესტისა და თვითგამოხატვის საშუალებას. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა LSD, რომელიც ჰიპური შეკრებების დროს აბსოლუტურად ღიად რიგდებოდა. ჰიპური მოძრაობა გაამყარა ვიეტნამის ომმა და მის წინააღმდეგ აგორებულმა საპროტესტო ტალღამ. ჰიპური სუბკულტურა მჭიდრო კავშირშია მუსიკალურ რენესანსთან, რომელიც 60-იანი წლებიდან დაიწყო და შექმნა 60-70-იანების კლასიკური ეპოქა. **610**



“ ჩვენ აღამიანებს გაზიარების საშუალება მივეცით და სამყარო უფრო ღია და გამჭვირვალე გახდა. ”
მარკ ცუკერბერგი



“ ნებისმიერი ამბავი შემოძლია სამი, ან ოთხი სხვადასხვა პერსპექტივიდან დავწერო. და ყველა ისტორია ერთმანეთს განსხვავებული მორალის მატარებელი აღმოჩნდება. ”
ტრისი ემინი



“ მე ვაღაანაშაულებ ამერიკას ჩვენი ეპოქის უსინდისობაში: შრომის განდიდების იდეოლოგიის იდეოლოგია დაფუძნებულია მატერიალური პროგრესის თავყვანისცემაზე და უტოპიისა და პოემიის უარყოფასა და სიძულვილზე! როგორ არ შევენიანაღმდეგო ამ ქაოსს... ყველაზე დამანგრევედ — იდეით! და ყველაზე შემოქმედებითი სამსახურით — უმუშევრობით! ”
ტრისტან ცარა

1968 წელი, მექსიკის სტუდენტური მანიფესტაცია

1968 წლის 2 ოქტომბერი ტრაგიკული დღეა მექსიკისთვის. სტუდენტებმა 1968 წლის ოღიმპიური თამაშების დროს მანიფესტაციების გამართვით მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიქცია. ისინი მთავრობის რეპრესიულ პოლიტიკას აპროტესტებდნენ და პოლიციის უფროსის დაჭერას, უნივერსიტეტების თავისუფლებასა და პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებას მოითხოვდნენ. მშვიდობიან აქციაზე ათი ათასობით სტუდენტი მივიდა. მანიფესტანტთა სიმრავლის მიუხედავად, მთავრობამ ძალა მაინც გამოიყენა. 44 სტუდენტი დაიღუპა, 300 დაშავდა, ხოლო დაახლოებით 1400 სტუდენტი დააპატიმრეს. **610**

1999 წელი, ირანელი სტუდენტების პროტესტი

სტუდენტები მთელი დღის მანძილზე რეფორმისტული გაზეთის, „საღამ“—ის, დახურვას აპროტესტებდნენ. აქციის მონაწილეებს ღამით, საერთო საცხოვრებელში, შეიარაღებული ძალები თავს დაესხნენ. ოპერაციის დროს რამდენიმე სტუდენტი დაიღუპა, არაერთი კი მძიმედ დაშავდა. საპროტესტო ტალღა უნივერსიტეტიდან მთელ ქვეყანას მოედო. ამ თავდასხმამ საფუძველი ჩაუყარა ირანის დამოუკიდებელი სტუდენტური მოძრაობის ჩამოყალიბებას, რომელიც დღემდე აქტიურად ცდილობს სტუდენტების უფლებების დაცვას. **610**



1973 წელი, ათენის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ამბოხი

1973 წლის 14 ნოემბერს, ათენის პოლიტექნიკური უნივერსიტეტების სტუდენტები, ხანგრძლივი პროტესტის შემდეგ, შენობაში ჩაიკეტნენ. დაბოროტობაში რადიო მოწყობილობა შექმნეს, რომლითაც მთელ საბერძნეთს მოუწოდებდნენ მათ პროტესტს შეერთებოდნენ.

17 ნოემბერს 25 ტანკი მიაღება უნივერსიტეტის შენობას. იმის მიუხედავად, რომ სტუდენტები დროს ითხოვდნენ ევაკუაციისთვის, ერთ-ერთმა ტანკმა გაისროლა. 24 სტუდენტი გარდაიცვალა, ასობით მძიმედ დაშავდა, ათასობით კი დააპატიმრეს. ამ დღიდან ერთი წლის შემდეგ, საბერძნეთმა თავისუფალი არჩევნები იზეიმა. **610**



ყინულის დეტაქტორი

Endimit-ის სტუდენტი, დაირია დენდი, ადვოკატით ინტელსიკაციის გამო საავადმყოფოში მოხვდა. ინციდენტის შემდეგ მოუვიდა იდეა, შეექმნა ყინული, რომელიც გატყობინებს, რომ ბევრი დაღიე. მწვანე, ყვითელი ან წითელი ფერით განათებული ყინული გიჩვენებს, თუ როდის უნდა შეწყვიტო სმა. ის თითოეული ყელულის კადკუდაციას ახდენს და დიმიტსაც შესაბამისად აწესებს. თუ ყინულის წითელად განათების მერვე აგრძელებს დაღევას, პროგრამა ავტომატურად გზავნის მოკლე ტექსტურ შეტყობინებას მეგობართან და აცნობს შენს მდგომარეობას. **610**



კუსტარული თვითმფრინავი

ფლორიდის უნივერსიტეტის 23 წლის სტუდენტი, ბარინგტონ ირვინგი, გინესის წიგნში ჩაეწერა. ბარინგტონმა მისივე ხელით აწყობილი თვითმფრინავით, რომელიც \$300,000 დაუჯდა, 3 თვე დედამიწის გარშემო იფრინა. 4 კონტინენტის გადაფრენის შემდეგ ოპა-ლოკას აეროპორტში დაფრინდა და თავგადასავადი დაასრულა. იამაიკაში დაბადებული და ამერიკაში გაზრდილი ბარინგტონი ითვლება მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა აფრო-ამერიკელ პილოტად, რომელმაც დედამიწის გარშემო იფრინა. **610**

1968 წელი საფრანგეთში

1968 წლის 3 მაისს სტრზონის უნივერსიტეტის სტუდენტების საპროტესტო გამოსვლები კუდტურდი რევოლუციის საფუძველი გახდა. ისინი საფრანგეთის ძველმოღურ განათლების სისტემა-სა და სამუშაო ადგილების სიმცირეს აპროტესტებდნენ. ის, რაც მშვიდობიანი აქციებით დაიწყო, თვენახევრიან ქაოსში გადაიზარდა – მანიფესტაციებს თითქმის მთელი საფრანგეთის მოსახლეობა შეუერთდა. აქციებს მსხვერპიც მოჰყვა – ასობით დაშავდა და რამდენიმე გარდაიცვალა. სტუდენტურმა პროტესტმა, საბოლოოდ, მაინც მიაღწია მიზანს – საგანმანათლებლო სისტემაში რეფორმები გატარდა, მუშათა კლასისთვის კი პირობები გაუმჯობესდა. **610**



“პროტესტი – მე ვაცხადებ, რომ ესა და ეს ხელს არ მაძლევს. წინააღმდეგობა – მე ვიქცევი ისე, რომ ის, რაც ხელს არ მაძლევს, არსებობას შეწყვეტს. პროტესტი – მე ვაცხადებ, რომ მორჩა, მე ამაში მონაწილეობას აღარ მივიღებ. წინააღმდეგობა – მე ვიქცევი ისე, რომ დანარჩენებზე აღარ მიიღებენ ამაში მონაწილეობას.”

უღრიკე მაინჰოფი



“ჩაიხედეთ საკუთარ თავში და, ბოლოს და ბოლოს, მოწყდით ღმერთებსა და კუმირებს! აღმოაჩინეთ ის, რაც თქვენში იმალება, გამოიტანეთ მზის სინათლეზე; და დაენახეთ ამ სამყაროს!”

პავიზ ბეი



“ნუ დათმობთ საკუთარ თავს. ეს ერთადერთია, რაც გაგაჩინოთ!”

ჯენის ჯოვინი

ომის შემდეგ



ანა ნონიკაშვილი



ანდრია ღორიძე



2008

2008 წლის აგვისტოს ომიდან 4 წელი გავიდა. პერიოდულად, სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემებსა და სტატიებში თითქმის ამ ისტორიული მონაკვეთის გააზრების სურვილი ჩნდება. აგრესიას და ბრძას ცვლილებების, რაციონალური ანალიზის სურვილი ცვლის. ეს ჩემი შთაბეჭდილებაა. მე 20 წლის ვარ. და დღეს, მინდა გავიგო, როგორ ხედავენ და აფასებენ ამ პერიოდს ჩემი თაობის ადამიანები. ისინი, ვისაც აზრს, რატომღაც, იშვიათად ეკითხებიან ხოლმე. როგორ წარმოიდგენენ მომავალში საქართველოს გეოგრაფიულ საზღვრებს? კონფლიქტის გადაჭრის რა გზებს ხედავენ? ფიქრობენ თუ არა, რომ ტერიტორიების დაბრუნება ისევ ომით იქნება შესაძლებელი? ვინ ახდენს გავდენას და როგორ ღვივდება მილიტარისტული განწყობები საზოგადოებაში?

ამ კითხვებით აქტივისტ-სტუდენტებს მივმართავ. ჩემთვის მათი აზრის მოსმენა მნიშვნელოვანია, რადგან ვიცი, რომ ეს ცვლილებები, სწორედ ამ თაობის მოსაპოვებელია.

ვახტანგ ბერიკაშვილი

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტის სტუდენტი. “ღაბორატორია
1918”-ის წევრი**

“სოფერში, სადაც მე გავიზარდე, სულ იყო რაღაც „კაცური აღზრდის“ ამბავი. ბიჭს იარაღი და სროლა უნდა გცოდნოდა. თუ არა და შეურაცხმყოფელი რეპლიკები ისმოდა: „გოგო ხომ არ ხარ“ და სხვა მსგავსები.

ხშირად მესმის, რომ ჩვენ აგრესიული და ძაღლობისკენ მიდრეკილი თაობა ვართ, მაგრამ ყველა წინა თაობა შემდეგზე ამას ამბობს.

აგვისტოს ომის შემდეგ, ახადგამრღებს მილიტარისტური განწყობების კიდევ უფრო გამძაფრებას ვამჩნევ.

ჩვენ რეალურად არ ვიცით, რას ნიშნავს აფხაზეთი საქართველოსთვის. ჩვენ სხვა თაობა ვართ. არ გვიცხოვრია სოხუმში, გაგრაში და იმ ხაღხზე, ადგილებზე არაფერი ვიცით. ეს დაკარგული ტერიტორიები უბრალოდ წარსულია, რომელიც არ ვიცი როგორ გაგრძელდება. სამწუხარო არის ის, რომ ახადგამრღებისთვის ხშირად კონფლიქტის მოგვარების ნაცვლად, ტერიტორიების დაბრუნება არის მთავარი მიზანი. 2008 წლამდე, ადრე უმრავლესობას სჯეროდა, რომ ჩვენ ომით შევძლებდით ცვლილებებს. საზოგადოებამ შეუკვეთა მთავრობას ომი და მან ეს მოახლოვდა შეასრულა. ახლა ნელა-ნელა უნდა მივხვდეთ, რომ კონფლიქტის განწყვეტის ერთდღით გზა არ არის

გრძნობა გამიჩნდა. როდესაც მხოლოდ ბევრი ადამიანის ტკივილს ხედავ, შეუძლებელია ოდესმე მისი მომხრე გახდე.”

სალომე დანელია

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტის სტუდენტი, “ღაბორატორია
1918”-ის წევრი**

“მინახავს პაციფისტიც და მილიტარისტიც. მაგრამ ჩემს მეგობრებში ეს ნაკლებად აქტუალური თემაა, ამიტომ ამაზე არასდროს ვსაუბრობთ. ყველაზე მეტად მილიტარისტული განწყობა “ვარდების რევოლუციის” შემდეგ ვიგრძენი. პოლიციის და ჯარის გაძლიერებას ბიუჯეტის უდიდე-

აგვისტოს ომი მოსახლეობის უმრავლესობისთვის შეუმჩნეველი იყო. მაშინ გამოფხიზლდნენ, უკან დახევა რომ ღაბორატორიაში მიხვდნენ, რომ ღაბორატორიაში ტერიტორიები და იმ მცხოვრები ადამიანები, რომლებზეც ომამდე არავინ ფიქრობდა.

უნდათ სამხედრო ძალა უფრო ძლიერი იყოს. ამაზე ჩემს გორედ მეგობრებთან ვსაუბრობ ხოლმე. მათთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. გორში ახადგამრღების უმრავლესობა ჯარში მსახურობს. იქვე სამხედრო ბაზაა.

შეიარაღებული კონფლიქტები საქართველოში ბევრისთვის მხოლოდ „დაკარგული ტერიტორიების“ ნიშნავს. აქ მხოლოდ ტერიტორიაა მნიშვნელოვანი, სხვა არაფერი ღირებულებას არ წარმოადგენს. აგვისტოს ომი მოსახლეობის უმრავლესობისთვის შეუმჩნეველი იყო (თბილისში განსაკუთრებით). მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდნენ, როდესაც უკან დახევა ღაბორატორიაში მიხვდნენ, რომ ჩვენ დაგვარგეთ ტერიტორიები და ასევე იქ მცხოვრები ადამიანები, რომლებზეც დაკარგვამდე არავინ ფიქრობდა.

იარაღი – ომს ყოველთვის დაპარაკი სჯობს.”

ირაკლი ამუშაშვილი

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-
ტის სტუდენტი**

“ბარბაკმა თქვა: „რაც ნაპოლეონმა იარაღით დაიპყრო, ის მე კადმით უნდა დავიპყრო.“ იარაღით დაპყრობა არ შეიძლება შედეგი იყოს. მთავარი მიზანი მაინც მოლაპარაკებით მიიღწევა. მაგრამ ჩვენთან, როგორც კი საქმე ტერიტორიების დაბრუნებას ეხება, ყველა თანახმაა აისხას იარაღი და საბრძოლველად წავიდეს. ეს სახელმწიფო პროპაგანდის შედეგია.”

8 აგვისტოს ომის შემდეგ, ყველა-ნაირი ბრძოლის მიმართ პროტესტის

სი ნაწილი მოხმარდა, როდესაც ეს თანხა შეიძლება ჯანდაცვაში, განათლებაში დაბანდებულიყო. ადამიანი, რომელიც ვერ სწავლობს, ხშირად ჯარში მიდის, რადგან იქ მაღალი ანაზღაურებაა. ესეც მოქმედებს. სახელმწიფომ სამხედრო სამსახური “გააპოპულარა”, პატრიოტული თემები წინ წამოსწია. აგვისტოს ომის დროს მეც ამ პროპაგანდის მსხვერპლი ვიყავი. ჩემი მეგობრებიც იბრძოდნენ. ყველა რუსის მიმართ აგრესია მქონდა, მეც მზად ვიყავი, მებრძოლა. ეს განწყობა მაღე შემეცვალა. მივხვდი, რომ მეც დიდი პროპაგანდის მსხვერპლი ვიყავი, როგორც ბევრი ქართველი და ბევრი რუსი.

ძალიან მინდა აფხაზეთის ნახვა. მიზეზი და დეგენდები ძალიან საინტერესოა, მაგრამ მთავარი ჩემთვის ტერიტორია არ არის.

კუდრუბები უნდა დაახლოვდეს. დაბრუნება მნიშვნელოვანია. თუმცა ეს რადიკალური გზის გარეშე უნდა მოხდეს. “ეს ჩვენი მიწაა”, “ერთიანი საქართველოს ნაწილი” და სხვა მსგავსი გამონათქვამები უნდა დავივიწყოთ. რა თქმა უნდა, სიამოვნებით ჩავიდოდი იქ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქ მცხოვრებლებს არ შევუქმნი რაიმე დისკომფორტს. მე ვფიქრობ მათზეც, ადამიანებზე, რომლებიც იქ ცხოვრობენ.

ხშირად ვკამათობ მამასთან, სხვებთანაც. მაგრამ არ ვიცი, სად არის სინამდვილე. მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი: არ უნდა ვიქვეყნო წარსულში. მთავარი მხოლოდ მომავალია.”

სანდრო ღორთქიფანიძე

შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის სტუდენტი

“90-იანების შემდეგ დაბადებულ თაობას ომი არ გამოუვლია. 2008 წლის აგვისტომ ყველაფერი შეცვალა. ეს საკითხი ჩემთვის მტკივნეული გახდა, რადგან მაშინ ბევრი ახლებელი დავკარგე. მაშინ მეც ვიყავი აგრესიულად, მიღიბარისტულად განწყობილი. და ეს განცდა მხოლოდ მე არ მექონია. დღეს რომ ვუფიქრდები, პრობლემები ემოციურ ღონეზე გადავწყვიტეთ. მას მერე 4 წელი გავიდა და დღესაც ვხვდები ჩემს თაობაში ადამიანებს, რომლებიც დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების ერთადერთ

თი დამოკიდებულება. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ბავშვებსაც ამ იდეებით კვებავენ. ჩემი გმირი ბავშვობაში უწყინარი ბებენი იყო. დღეს პოლიციელს და ჯარისკაცს ეთაყვანებიან. უშინაარსო გმირებს, რომელთა შესახებაც არაფერი იციან და ვერც იმას ხვდებიან, ისინი დადებითი გმირები არიან თუ არა.”

ნინო გოგიჩაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

“ომიდანას ხშირად ვთამაშობდი ხოლმე. მაშინ ეს ყველაფერი დაღმურევი სპექტაკლი იყო. უბრალოდ, ვხადისობდით. ომზე სხვა კუთხით

დაბრუნება რადიკალური გზის გარეშე უნდა მოხდეს.
“ეს ჩვენი მიწაა”, “ერთიანი საქართველოს ნაწილი” და სხვა გამონათქვამები უნდა დავივიწყოთ. მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩავიდოდი იქ, თუ იქაურებს არ შევუქმნი დისკომფორტს.

გიორგი დულუჩავა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, “დაბორატორია 1918”-ის წევრი

“ტერიტორიების დაკარგვაზე მე განსხვავებული აზრი მაქვს, რომელიც ბევრისთვის შეიძლება მიუღებელი იყოს. ჩემთვის არ იქნება ტრაგედია, თუ ამ ტერიტორიებს მივანიჭებთ დამოუკიდებლობას და ვაღიარებთ სუვერენულ ქვეყნებად. ჩემთვის მნიშვნელოვანია, არ იყოს კონფლიქტი და დევნილებმა შეძლონ მშვიდობიანი თანაცხოვრება. დღეს, ვფიქრობ, საქართველოს არ აქვს პერსპექტივა ტერიტორიები დაიბრუნოს. ამიტომ, მგონია, რომ მშვიდობა და დამოკიდებულების შეცვლა შეიძლება ყველაზე კარგი გამოსავალი იყოს.”

გზად კვდავ ომს მიიჩნევენ. ამაზე, სამწუხაროდ, მხოლოდ სუფრაზე, სადღეგრძელის დროს ვაპაჩაობთ ხოლმე: „გაუმარჯოს ჩვენს ტკივილს, აფხაზეთს“. არადა, არავის გვესმის, რა გვტკივა, რატომ გვტკივა და რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ აღარ გვტკიოდეს. ამ სიტყვებს ყოველ წუთსაც თითქოს იმიტომ ვიმეორებთ, რომ არ დაგვავიწყდეს. რის ფასად მიღირს ამ მიწის დაბრუნება? შეიძლება არაპოპულარულად უდერს, მაგრამ არანაირი ტერიტორია არ მიღირს ერთი ადამიანის სიცოცხლე.

ხშირად მიკამათია მიღიბარებში და ძაღუფლებამე ჩემს სამართად-დამცავ ორგანოებში მომუშავე მეგობრებთან, ასეთი პასუხი მიმიღია: „იმდენს ვაკეთებ შენთვის, რომ დიახაც, შენზე დიდი ძაღუფლება უნდა მქონდეს.“ სამწუხაროა ასე-

არასდროს მიფიქრია, არ მაინტერესებდა. 2008 წლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. მაშინ ვიგრძენი, რომ მიღიბარებში მსხვერპლი ვიყავი. ყველა რუსის განადგურებაზე ვოცნებობდი. მხოლოდ ამაზე ვფიქრობდი. მაგრამ გავიდა დრო და მივხვდი, რომ სინამდვილეში მეც, მთელ მოსახლეობასთან ერთად, სისტემის მსხვერპლი ვიყავი.

ამ თემამე ჩემს თანატოლებთან ხშირად ვსაუბრობ ხოლმე. მიკვირს მათი დამოკიდებულება. ისინი კონფლიქტის დარეგულირების ერთადერთ ალტერნატივად ისევ ომს განიხილავენ. ჩემთვის არანაირი დაკარგული ტერიტორია არაა მნიშვნელოვანი, თუ ისევ ადამიანების ტრაგედიას, ოჯახის წევრების გლოვას უნდა ვუყურო. მიჩვენია ყველაფერი უცვლელი დარჩეს. ოღონდ მშვიდობა იყოს.”

სახლი



ნათია ბარდიაშვილი



დიტო თედიაშვილი



ეკოლოგია მეცნიერებაა სახლის შესახებ. ამ შემთხვევაში, სახლი დედამიწაა (სხვათა შორის, ბოლო მონაცემებით, ერთადერთი პლანეტა, სადაც შოკოლადია), რომელსაც მოვლა სჭირდება. თუ ბოლო პერიოდში გინახავთ ევროპული ან ამერიკული ტერეგადაცემები, წაგიკითხავთ ჟურნალები ან, უბრალოდ, დაგიტვადიერებიათ არაქართული ბლოგები, აუცილებლად შეამჩნევდით მოწოდებებს „Go Green“. ეკოლოგიურ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება ერთგვარი ტრენდი გახდა. ჩვენს ქვეყანაში ეკოლოგიით ნაკლებად ვინტერესდებით. ხშირად გვესმის: რა დროს ბუნებაზე ზრუნვაა, ადამიანები გვყავს მისახელი! მართალია, ყველას გვხვდება მათხოვარი ბავშვები, ვიცნობთ ადამიანებს, რომლებსაც გადარჩენისთვის ბრძოლა ყოველდღიურად უწევთ, მაგრამ დარწმუნებულები ხართ, რომ ამ ადამი-

ანებს არ უნდათ სუფთა ჰაერი ისუნთქონ? სიამოვნებთ უპატრონო ცხოველები? დაწვავს ბუნებაზე ზრუნვა ადამიანებზე ზრუნვას გულისხმობს – ეს ორი ცნება ერთი მთლიანობაა, ჩვენ ერთი სამყაროს ნაწილი ვართ.

სინამდვილეში, იცხოვრო მწვანედ, არც ისე რთულია. რა თქმა უნდა, მე, რიგით სტუდენტს, არ შემიძლია შევიმუშავო ნარჩენების მართვის პროგრამა საქართველოსთვის, გავზომო ქარხნებსა და საწარმოებში მავნე ნივთიერებების ზიანის ხარისხი, მაგრამ მე შემიძლია, დავანახო სახელმწიფოს, რომ ეს ჩემთვის მნიშვნელოვანია და მოვთხოვო პასუხი. და რაც მთავარია, მე შემიძლია, მივნიშნა მდელი დავიყვანო ზიანი, რომელსაც გარემოს ვაყენებ.

მე შემიძლია გამოვიყენო ნაკლები ქაღალდი. მსოფლიოში დღიურად მიღი-

ონ ტონამდე ქაღალდი იხარჯება. ერთი ტონა ქაღალდისთვის კი 17 ხის მოჭრაა საჭირო. დღეს ჩვენ გვაქვს სმარტფონები, პლანშეტები, დეპტოპები. ეს კი ქაღალდის მოთხოვნას მნიშვნელოვნად ამცირებს.

ქაღალდის ეკონომია ბევრნაირად შეიძლება: არ ამოვბეჭდოთ ყველაფერი, რასაც ვკითხულობთ, ან დავბეჭდოთ ფურცლის ორივე მხარეს, ვიყილოთ გადამუშავებული ქაღალდის პროდუქტები, გამოვიყენოთ ნაჭრის ხელსახოცები, ერთჯერადის ნაცვლად.

მე შემიძლია გამოვიყენო ნაკლები პლასტმასი. ყველა ოკეანეში ერთად პლასტმასის რაოდენობა ექვსჯერ აღემატება პლანქტონისას. არაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ წელიწადში 6.4 მილიარდი ტონა პლასტმასი ხვდება ჩვენს წყლებში.

შევიდეთ მაღაზიაში და ვიყილოთ რამე. „რამე“, ძირითადად, ხვდება

ცელოფნის პარკში. ცელოფნის პარკს, საშუალოდ, 25 წუთის განმავლობაში ვიყენებთ. შემდეგ ვავლებთ. პარკის გახრწნას დაახლოებით 100 წელი სჭირდება. მაშინ, როდესაც მე შემოიძლია ნაყოფი პროდუქტი ჩანთაში ჩავდო, ბოლოს და ბოლოს, პარკი შევინახო და მაღაზიაში შემდეგი მისვლისას იგივე გამოვიყენო. ასევე შემოიძლია შევიძინო მხოლოდ ის პროდუქტი, რომელიც პლასტმასის შეფუთვით არ იყიდება. ეს არც ისე ადვილია, მაგრამ ჩვენს ძალისხმევას უზარმაზარი შედეგი შეიძლება ჰქონდეს.

კიდევ, მე შემოიძლია გამოვიყენო ნაკლები წყალი. წყალი აუცილებელი და ამოწურვადი რესურსია ყოველდღიური ცხოვრებისთვის. მსოფლიო წყლების მხოლოდ 2.5% გამოდგება დასაღვად.

ინდოეთში დღეში დაახლოებით ათასი

ნი დღეში 9 პირადი ჰიგიენის პროდუქტს იყენებს, რომლებიც 126 სხვადასხვა სახის ქიმიკატს შეიცავს. ჯერ შეხედეთ ეტიკეტებს, სიტყვები – „ეკოლოგიური“, „ნატურალური“, „ჯანსაღი“ – არაა დაცული კანონით და ხშირად ამ „სუფთა“ პროდუქტების 15-60% მავნე ქიმიკატებისგან შედგება. ყველაზე გავრცელებული ქიმიკატებია ფორმალდეჰიდი, მეთანოლი, ფტალატი და პარაბენი. ამ ნივთიერებებს მათი დაბადი ფასის გამო კოსმეტიკურ და ჰიგიენურ პროდუქტებში იყენებენ – მაღე რომ არ გაუჭდეს. ეს ქიმიკატები აღევრება იწვევს, აზიანებს ჩვენს დნმ-ს, მოქმედებს რეპროდუქციულ სისტემაზე, ჰორმონალურ ბალანსზე და ზრდის კიბოს რისკს.

კანი არაა ერთადერთი გზა, რითაც ჩვენს ორგანიზმში მავნე ნივთიერე-

შემდეგ კი მათ უროს ან დენის დარტყმით თიშავენ, ფეხებით კიდებენ, (ცოცხლებს) ყველს ჭრიან და ატყავებენ. დაბადიანსებული კვებისთვის კვირაში 353 გრამი ხორცია საჭირო, ტყავისა და ბენვის სამოსის აღებრნა-ტივა კი დიდი ხანია არსებობს და ხარისხში განსხვავებაც, ფაქტობრივად, აღარ არსებობს.

მოკლედ, თუ ჯანმრთელობა ხელს არ გვიწყობს, ან, უბრალოდ, არ გვყოფნის ნებისყოფა, იმის გაკეთება მაინც უნდა შევძლოთ, რომ არ მივირთვათ გადაშენების პირას მყოფი ცხოველების, ფრინველების, თევზების ხორცი, უარი ვთქვათ ნატურალური ტყავისა და ბენვის ტანსაცმელზე. სხვათა შორის, ეს უკვე გააკეთეს კევინ კლინმა, ვინც ვესტვლმა, სტეფა მაკარტნიმ, რადფ ლორენმა და ტომი ჰილფიგერმა.

თუ ასე გაგრძელდა, ჩვენს შემდეგ თაობებს მხოლოდ სურათებიდან ეცოდინებათ როგორია ლეოპარდი, ფოცხვერი, მარტორქა, ალიგატორი, წითელი მგელი და ორანგუტანი.

ბავშვი კვდება დაბინძურებული წყლის გამო. მსოფლიოში, ყოველწლიურად 15 მილიონი ხუთ წლამდე ასაკის ბავშვი კვდება დაავადებებისგან, რომელსაც დაბინძურებული წყალი იწვევს.

მსოფლიოში 1.1 მილიარდ ადამიანს არ მიუწვდება ხელი სუფთა წყალზე.

მგონი, ეს საკმარისი მიზეზია წლის ეკონომიისთვის. ჩვენ დღეში საშუალოდ 300 ლიტრ წყალს ვიყენებთ, როცა რეალურად 80 ლიტრია საჭირო. თუ კბილების გახეხვისას ონკანს პერიოდულად გადავკეტავთ, 40 ლიტრის მაგივრად 2 ლიტრ წყალს დავხარჯავთ, ხოლო თუ აბაზანის მაგივრად შხაპს მივიღებთ – ეს უკვე 150 ლიტრის ეკონომიაა. ახლა ქიმიკატები, რომლებითაც შხაპის დროს ვანებივრებთ ჩვენს კანს. შამპუნები, შხაპის გელები, ღოსიონები..

საშუალოდ, ზრდასრული ადამიან-

ბები ხვდება, შემდეგი საფრთხე საკვებაა. ჩვენთვის და გარემოსთვის სჯობს ადგილობრივი საკვები შევიძინოთ ხორცზე. ამ შემთხვევაში ვზოგავთ საწვავს, რადგან ერთი ქილაქიდან მეორეში პროდუქტის გადამზადვა უფრო იაფია, ვიდრე ერთი ქვეყნიდან (ან სუდაც კონტინენტიდან) მეორეში. რადგან პროდუქტი ბევრს არ მოგზაურობს, მას არ სჭირდება ქიმიკატებით გამდიდრება. ის დიდ ხანს დარჩება უცვლელი, შესაბამისად, უფრო ჯანმრთელი, სასარგებლო და იაფია.

პირველად ვეგეტარიანელობაზე მაშინ დავფიქრდი, როცა გავიგე, როგორ ექცეოდნენ ცხოველებს ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანიები. ეს არსებები ხელოვნური განაყოფიერებით იბადებიან, იკვებებიან სპეციალური ნარევებით, რომ წონაში მოიმატონ,

ცაღვე თემაა ბრაკონიერობა. ფრინველების 12%, ძუძუმწოვრების 21%, მწერების 27%, მარტანის რიფების 27%, ამფიბიების 30%, თევზების 32% გადაშენების პირასაა. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ ასე გაგრძელდა, ჩვენს შემდეგ თაობებს მხოლოდ სურათებიდან და ვიდეოებიდან ეცოდინებათ ისეთი სახეობების არსებობა, როგორებიცაა: ელპარდი, ფოცხვერი, მარტორქა, ადიგატორი, ციმბირული ვეფხვი, წითელი მგელი და ორანგუტანი. დღევანდელი მონაცემებით, ყოველ 24 საათში 200 სახეობა იკარგება.

„მწვანედ“ ცხოვრება არ გულისხმობს განსაკუთრებული მსხვერპლის გაღებას. ეს იმის გააზრებაა, რომ მე, შენ, ღურჯი ვეშაპი და კაკაოს ხე, ჩვენ ყველა ერთ სახელში ვცხოვრობთ. **610**

ტესტი ჰუმანურობაზე

ირინა კურტანიძე ანდრია დოდოძე



“**მ**ე დგბტ თემის წარმომადგენელი მეგობარი ვერასდროს მეყოლება. არ ვიცი, მაგათ რაზე ვერაპარაკო ან როგორ უნდა გავუგო.” მითხრა ერთხელ ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, რასაც საათნახევრიანი კამათი მოჰყვა. ჩვენ უკვე ხედიართუდ ჩხუბზე გა-

დავდიოდით, როცა სახე შეეცვალა, დაფიქრდა და მითხრა: „დედაჩემის უახლოესი მეგობარი, რომელიც, ფაქტიურად, გამზარდა და დედასავით მიყვარს – დესბია.“ აღარაფერი მითქვამს.

გასულ წელს დისკუსიაში მივიღე მონაწილეობა თემაზე: სექსუალური,

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები. ჯგუფებს ჩვენ არ ვირჩევდით და მე ჰომოფობების უფლებადამცვერი აღმოვჩნდი. არ ვიცოდი, რა არგუმენტებით დავპირისპირებოდი ჩემს ოპონენტებს და ამიტომ ჩემ გარშემო არსებულ ყველა ჰომოფობს და უმცირესობების მიმართ აგრესიით გან-

წყობილ ადამიანს ვესაუბრე (არც თუ ისე ცოტანი აღმოჩნდნენ). ამ საუბრების შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ საზოგადოების ყველაზე დიდი პრობლემა არაინფორმირებულობაა. ჩემი ოპონენტების უმეტესობა დგბტ თემის წარმომადგენლებს ავადმყოფებს უწოდებს. ზოგი თვლის, რომ ისინი ღმერთმა ცოდვების გამო დასაჯა, სხვების აზრით კი, ეს მათი მცდარი არჩევანია.

ამერიკის შეერთებული შტატების ფსიქიატრიული ასოციაციის გამოკვლევების შედეგად, 1973 წელს ტერმინი „ჰომოსექსუალობა“ ამოიღეს ფსიქიკური და ემოციური დაავადებების ოფიციალური სიიდან. „ფსიქოლოგები თვლიან, რომ ადამიანთა უმრავლესობისათვის სექსუალური ორიენტაცია არ წარმოადგენს შეგნებული არჩევან-

ძაღლობის ფორმებიდან ერთ-ერთი მაინც. ოცდარვა ადამიანმა განაცხადა, რომ დისკრიმინაცია რელიგიურ ინსტიტუტებში განიცადა. 46,15 %-მა მათგან, ვინც პოლიცის შეატყობინა ძაღლობის შესახებ, ინანა, ასე რომ მოიქცა, რადგან პოლიციელებიც ჰომოფობები აღმოჩნდნენ.

საქართველოში დღეს, ორი ორგანიზაცია ცდილობს დგბტ თემის წევრების უფლებების დაცვას. არასამთავრობო ორგანიზაცია “იდენტობის” ღირებულებით, ირაკლი ვაჭარაძე ამბობს, რომ მათი მთავარი პრიორიტეტი განათლებაა. ადამიანების ინფორმირების მიზნით, საქართველოს მასშტაბით ისინი სხვადასხვა ლენისძიებას მართავენ. ის ფიქრობს, რომ ძირითად კითხვებს პასუხი რომ

კრიმინირებულ ადამიანებს, იმდენად არის დაცული ყველა სხვა ჯგუფის უფლება. გარიყულობა და დაჩაგვრა ყვედასთვის ერთნაირად მტკივნეულია, იმის მიუხედავად, კანის ფერი გამო გიაგრავენ, ეთნიკური, სექსუალური იდენტობისა თუ სოციალური კუთვნილების გამო. ამის გაცნობიერება ძალიან მნიშვნელოვანია.”

ერთ-ერთმა ჩემმა რექტორმა გვითხრა: „ადამიანი ყვედაფერზე მაღლა დგას“. არ ვიცი, კიდევ რამდენი დრო დაგვჭირდება იმისთვის, რომ თითოეული ადამიანის ცხოვრება და თავისუფლება ყვედაფერზე მაღლა დავაყენოთ.

ბევრი თვლის, რომ საქართველოში ამის დრო არ არის. ამბობენ, ხოლმე იმასაც, რომ ჩვენთან ბევრად სერიოზული პრობლემებია მოსაგვარე-

საზოგადოებაში დემოკრატიის ხარისხი იზომება ასე: რამდენადს კარგად გრძნობს თავს ყველაზე დაჩაგრული ჯგუფი, იმდენად კარგად გრძნობს თავს მთელი საზოგადოება.


ნის შედეგს, რომელიც შეიძლება ნებაყოფლობით შეიცვალოს”. 1999 წელს ბრიუს ბაგემიღმა ცხოველებზე დავიკრება ჩაატარა. 1500 წყვილიდან 500-ზე დაფიქსირდა ერთსქესიანთა ურთიერთობა. 2009 წელს ხელახლა ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ერთსქესიანთა ურთიერთობა თითქმის უნივერსალური ფენომენია ცხოველთა სამყაროში (არა მგონია, ღმერთი ცხოველთა დასჯითაც იყოს დაკავებული).

არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობაში“ იგა-ვეროპის ერთიანი კამპანიის ფარგლებში ჩაატარა კვლევა – „დგბტ ადამიანების დისკრიმინაცია საქართველოში“. თბილისის მასშტაბით 150 დგბტ პიროვნება გამოკითხეს. გამოკითხულთა მესამედმა აღნიშნა, რომ განუცდია

გაეცემა და უხიდავობის პირველი ტალღა დაიძვრა, ბევრს თვითონ გაუჩნდება დახმარების სურვილი. უხიდავობა შიშს იწვევს. „დგბტ-ს წევრი ჩვენი მეგობრები, ნათესავები, ახლობლები არიან. ის, რომ ისინი ამაზე არ დაპარაკობენ, არ ნიშნავს, რომ არ არსებობენ. ის, რომ არ საუბრობენ დისკრიმინაციაზე, არ ნიშნავს, რომ დისკრიმინაციას არ განიცდიან. სიძულვილზე აგებული საზოგადოება ვერასდროს გახდება თავისუფალი და წარმატებული“, – ამბობს ირაკლი, – “საზოგადოებაში დემოკრატია და განვითარების ხარისხი იზომება ასე: რამდენად კარგად გრძნობს თავს ყველაზე დაჩაგრული ჯგუფი, იმდენად კარგად გრძნობს თავს მთელი საზოგადოება. როგორც იცავს კანონი ყველაზე დის-

ბედი, ვიდრე დგბტ წევრების უფლებების დაცვაა. ჩემი აზრით, ყველა სხვა პრობლემა (ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური) სწორედ პიროვნების ღირსების, სხვისი თავისუფლების არცოდნის შედეგია. სანამ არ ვაღიარებთ ადამიანის უფლებებს, მრავალფეროვნებასა და ინდივიდუალიზმს, წარსულის შეცდომების გამეორების მუდმივი საფრთხის წინაშე ვირჩევთ ყოფნას.

მე დავიბადე იმ დროს, როდესაც ამ კლიშეებისგან გათავისუფლება ბევრად ადვილია, ვიდრე მანამდე. ჩვენ ვირჩევთ, როგორ სამყაროში გვინდა ცხოვრება: მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებული დავკმაყოფილებით, თუ შევქმნით გარემოს, სადაც ყველას ექნება თანაბარი შანსი, შეიგრძნოს თავისუფლების გემო. **END**



სახლიდან წასვლა



თათო ღვინიაიძე



ანდრია ღორიძე



მოდის ვიწყებთ საქართველოში დამოუკიდებელ ცხოვრებას? – ამ კითხვაზე სულ ეროვნული გამოცდები მახსენდება. დედები – შვილების პირადობისა თუ საგამოცდო ბარათით, წინასწარ მომზადებული, გაყვნილი წყლის ბოთლებით ხეღში. გამოცდის შემდეგ, ღერეფანში ასეულობით მშობ-

რის მოღოდინით სავსე თვადები. განსაკუთრებით ერთი ფრაგმენტი, რომედმაც „სასოფდოსთან“, გაუსადრისი სიცხისგან გაბრუებულს, ერთი წუთით, კარს მომდგარი ქართული ენის გამოცდაც კი დამავიწყა: ეზოში მაღალი ბიჭი დგას. მშვიდი სახით (ჩემსავით აბიტურიენტი), უზალოდ დაუთოვებულ, საყვედოგაწკე-

პიდ, თეთრ პერანგში გამოწყობილი. გვერდით, თითისწვერებზე დგას დეა და მწვედი მზისგან შვიდს ჭრედი ქოდეით იფარავს.

დამოუკიდებლობა ყვედასთვის სხვადასხვა რამეს ნიშნავს: ზოგისთვის ეს პროდემური საკითხია, ზოგი კი საერთოდ ვერ ხვდება მის მნიშვნელობას, სხვებისთვის ეს ბუ-

ნებრივი მდგომარეობაა. მაგრამ როდესაც ჩემს გარშემო ახადგაბრდებს ვაკვირდები (მათში ჩემს თავსაც ვგულისხმობ) მიჩნდება შეგრძნება, რომ რაღაც „ისე“ ვერ არის.

საქართველოში, ძირითადად, ასე ხდება ხოლმე: ახადგაბრდა ამთავრებს სკოლას ნორმალური ნიშნებით, ან გაჭირვებით, მაგრამ მაინც ამთავრებს. შემდეგ ირჩევს იმ პროფესიას, რომელიც შეიძლება საერთოდ არც აინტერესებდეს, მაგრამ „მოთხოვნად“ საქმედ ითვლებოდა. ამთავრებს უნივერსიტეტს, ოღონდ მნიშვნელობა არ აქვს, რომელს. ისევ ნორმალური ქულებით, ან გაჭირვებით, მაგრამ მაინც ამთავრებს და რაც მთავარია – ხდება დიპლომის მფლობელი. ამ ყველაფრის

ხშირად ამას არც კი ცდილობენ. ურჩევნიათ მამამ აურჩიოს პროფესია, დედა – ცოლი, შემდეგ მშობედმა, ან ახლობელმა უშვოს სამსახური. თითქმის არ ცდილობენ, განვითარდნენ და გამოიმუშაონ თავისუფალი, კრიტიკული აზროვნების უნარი. ურჩევნიათ იცხოვრონ არსებული წესებისა და მოცემულობების მიხედვით. ამ ყველაფერს ბევრი რამ უწყობს ხელს: საქართველო პატარაა, ცოტაა დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად შესაფერისი სამუშაო ადგილი. არ არსებობს საუნივერსიტეტო ქალაქები ან თუნდაც კამპუსები, სადაც ახადგაბრდა შეძლებდა საკუთარი თავის გამოცდას, საკუთარი ცხოვრების სურვილისამებრ მოწყობას. უბრალოდ მიიღებდა უფრო დიდ ცხოვრებისეულ

გაგვარებას. ამაზე ხშირად ვფიქრობ და მანუხებს ის, რომ სტუდენტები უმეტესწილად არაფერს ვაპროტესტებთ. არ გვეგონოთ, რომ პროტესტის იდეა აკვიატებული მაქვს, უბრალოდ უკმაყოფილება, შეუგუებლობა ახადგაბრდა ადამიანის განუყოფელ თვისებად მიმაჩნია.

ხშირად ქართველი და უცხოელი ახადგაბრდების შედარებისას მოკვავთ ასეთი მაგარი თემა, რომ საზღვარგარეთ თვრამეტი წლის შესრულების შემდეგ, ბავშვები სახიდან მიდიან. ეს ფაქტი ქართველ ახადგაბრდებს დიდად არ მოსწონთ, მშობლებს – აშინებთ. თან ხომ იცით, ფიქრებიდან შექმნილი სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ საზღვარგარეთ ადამიანებს არ უყვართ მშობლები

პოლიტიკა, მედია და ეკლესია აქტიურად გვანვლიან მოდელს, რის მიხედვითაც საკუთარი ცხოვრება უნდა მოვანწყოთ. ძნელია, გადაურჩე ამ ყველაფერს, მაგრამ, სულ მცირე, უნდა ვცადოთ მაინც!

შემდეგ, ცდილობს როგორმე ჩაებას ჯაჭვში, რომელშიც უმრავლესობა ცდილობს მოხვედრას და იწყება სვლა წარმატებისკენ. სიტყვა წარმატება ჩემთვის უცნაური და ორზე მეტ აზროვანია. წესით, ყველასთვის სხვადასხვა რამეს უნდა ნიშნავდეს. მაგრამ მგონია, რომ ახადგაბრდები თავადვე იზლუდავენ თავს და მხოლოდ რამდენიმე არჩევანს იტოვებენ: გათხოვება, ცოლის მოყვანა, ღირექტორის მოადგილეობა ან ღირექტორობა. შედეგად კი ვიღებთ ერთფეროვან, გამოუცდელ და ხშირ შემთხვევაში, მორჩილ საზოგადოებას, რომელიც ვერ ეგუება სიახლეს და ცვლილების ეშინია.

არ მიყვარს ქადაგება და მოწოდებები, მაგრამ მოკდელ მაინც ვიტყვი. საქართველოში ძალიან გვიან იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას.

გამოცდილებას, დაუშვებდა შეცდომებს, გადაღახვდა ბარიერებს და მოემზადებოდა ცხოვრებისთვის. ეს არ ნიშნავს, რომ ამის გარეშე, არ შეგვიძლია ვიყოთ დამოუკიდებელი, უბრალოდ ძნელია, რადგან თვითონ გარემოა ძალიან ბრძოლიანი. მასწავლებლები ცდილობენ, დაინახო რექსში ის, რაც თავად ჰგონიათ ჭეშმარიტება, საზოგადოება ცდილობს, დაგიმსგავსოს და დაგავიწყოს, რომ ყველა ჩვენგანი უნიკალური და განსხვავებულია. პოლიტიკა, მედია და ეკლესია აქტიურად გვანვლიან მოდელს, რის მიხედვითაც საკუთარი ცხოვრება უნდა მოვანწყოთ. ძნელია, გადაურჩე ამ ყველაფერს, მაგრამ, სულ მცირე, უნდა ვცადოთ მაინც!

ოქტომბერი, ამ მხრივ, კარგი თვე იყო. აღმოჩნდა, რომ ახადგაბრდებს პროტესტის განცდა და მოთხოვნილება

და ნათესავები, არ იციან მეგობრობა. რაც უნდა ვთქვათ, „სახიდან წასვლა“ აუცილებელია. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არ გიყვარს ისინი, ვისაც შინ ტოვებ. ჩემთვის ეს თბილი ბუდიდან გაფრენას, დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებას ნიშნავს.

დიდხანს ვბრაზობდი დედაზე, როცა ერთ ამბავს ვიხსენებდი. ეზოდან გაბრაზებული ამოვედი, ვილაცას ვეჩხუბე და თავს დაჩაგრულად ვგრძნობდი. დედასთან მივირბინე და ჩაუვუკაცე ყველაფერი. მომისმინა. მისგან ნუგეშს და შურისძიებას ველოდი, მაგრამ შევცდი, რადგან ყოველგვარი შეცოდებისა და სიბრალულის გარეშე უკან, ეზოში, ასეთი სიტყვებით გამიშვა: „მიეჩვიე პრობლემების შენით მოგვარებას!“ დღეს მისი მაღლობი ვარ! **610**

პროტესტის ხელოვნება

☞ თამარ კვაჭანტირაძე

📷 ნათია ბარდიაშვილი







Street art – ჩემთვის, უბრალოდ, ჰობია. არ მახსოვს, პირველი სტენსიდი სად გავაკეთე. ორი წლის წინ გავიგე, რომ ამას სტრიტ არტი ჰქვია. ვერაფრით ვხვდები, რატომ კრძალავენ კედლებზე ხატვას, ან რატომ ითვლება ეს ვანდალიზმად. ჩემთვის ყველაზე გამორჩეულია „ვანდალიზმმა“ მხოლოდ ერთი დღე იცოცხლა. პრობლემები პოლიციასთან არასდროს მქონია. ბევრჯერ გამირისკავს და დამიხატავს მათი თანდასწრებითაც!”

“HELP მე” სტრიტ-არტისტი. ახლა სტიკერებს აკრავს და შენობების კედლებზე თავის ავტარს ხატავს. როგორც თვითონ ამბობს, ქაღალქში თავს ითავებს.

ქუჩის მხატვრობა (street art) დღეს ვიზუალური ხელოვნების ერთ-ერთ მიმდინარეობად ითვლება. მთავარი იდეა სან-

თბილისში გავრცელებული პოლიტიკური სტენსიდების ნაწილს „HVIT ანერს ხელს. ფიქრამონის მინისქვეშა გადასასვლელში სტაინის პორტრეტი გააკეთა, რომელსაც მოპირდაპირე კედლიდან ეწინააღმდეგება. დღეს ეს სტენსიდები ნაშ-რილია.

ქციებისაგან თავისუფალი ხელოვნების განვითარებაა. ამ ფორმით სტრიტ არტი ძაღაუფლების მიერ ინიცირებულ და წახადისებულ ხელოვნებას ეწინააღმდეგება. სტენსიდი ქუჩის ხელოვნებაა – მუქ და მკაფიო ფერებში გამოხატული. ის მუდამ რეალობას ეპასუხება, აკრიტიკებს არსებულ ნორმებს, ხშირად კი ეს იმიჯები იუმორით გაუღენთი პროტესტია. გრაფიტს ერთ ფერში ხატავენ, ან კედლებზე გამოსახულებას კვეთენ, კანწავენ. თავი არტისტის თვითრეკლამაა, საკუთარი კვალი ურბანულ სივრცეში.

ყველაზე ცნობილი არტისტი, ბრიტანელი ბენქსი ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ ქუჩის ხელოვნების ინსპირაციად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენს წელთა აღრიცხვამდე 30 000 წლის წინ ჩვენი წინაპრების მიერ გამოქვაბულის კედლებზე შექმნილი ნახატები, რომლებიც ნადირობას, თევზაობას თუ სხვა საყოფაცხოვრებო მოვლენებს აღწერდნენ. ამ ნახატებს გამოქვაბულის ხელოვნებად იცნობენ და მეცნიერები დღემდე იკვლევენ. ათასწლეულების შემდეგ cave art-მა გამოქვაბულებიდან თანამედროვე ურბანულ სივრცეში, შენობების კედლებზე გადაინაცვლა და საკუთარი დამოკიდებულების, პოზიციის გამოხატვის ფორმად ჩამოყალიბდა.

ანტიკურ პერიოდში ფანჯრის რაფებზე სატრფოსადმი მიძღვნილი სასიყვარულო ეპითეტები აღმოაჩინეს. უფრო მოგვიანებით შენობების კედლებზე პროსტიტუციის რეკლამები ჩნდებოდა. მეოცე საუკუნის ბოლოს, ჰიპების თაობისა და პოსტმოდერნისტული ეპოქის დადგომის შემდეგ არტისტული გამოხატვის ამ ფორმას სტრიტ-არტი ეწოდა. ერთ-ერთი პირველი სტენსიდი გერმანიაში მუსოლინის პორტრეტი იყო. მოგვიანებით პარიზის ქუჩებს მოედო ფრანგი სტრიტ არტისტის ვირთხები.

დღეს სტენსიდის მეფედ ბრიტანელი არტისტი, ბენქსი ითვლება. მის შესახებ ათასობით სტატია და რეპორტაჟია მომზადებული. ამის მიუხედავად, არავინ იცის, როგორ გამოიყურება ეს საკუდო ფიგურა, რამდენი წლისაა, სად ცხოვრობს, რა მოსწონს და რა ცხოვრების წესი აქვს. მისი ნამუშევრები აუქციონებზე სოლიდურ ფასში იყიდება.

რამდენიმე წლის წინ ბენქსმა ანონიმურად, უცნობი ქაღბატონის დახმარებით, ერთ-ერთ მუზეუმში დარეკა და კდის ფილაზე შესრულებული სტენსილის გამოფენა შესთავაზა. ნამუშევარზე გამოსახული კაცი საშოპინგე ურიკას მიაგორებს. იქვე ისარგაცირი ბიზონის ფიგურა მოჩანს, წარწერაზე კი ვკითხულობთ: „უძველესი ადამიანი სუპერმარკეტში მიდის“.

ბენქსს მიმდევრები საქართველოშიც ჰყავს. მის თაგუნებს თბილისშიც შეგხვდებით, რომელსაც ავტორი academy art-ის ხელმოწერას ურთავს. თაგუნების შემდეგ თბილისში Humanoid-ის კატეგორი გამოჩნდა, რომელიც, სავარაუდოდ, თაგუნებს დასდევნ. Humanoid-ის ერთ-ერთი ცნობილი სტენსილია გოგონა, რომელიც თოვლის ბაბუას იარაღით შუბლს უხვრტს.

თბილისში ხშირად შეხვდებით პოლიტიკური პოზიციის გამოხატველ სტენსილებს. ბოლოდროს, მიწისქვეშა გადასასვლელებში, შენობის კედლებზე, ერთდროულად ბევრ ადგილას გაჩნდა წარწერები „სისტემა უნდა დაინგრეს“, „დღეს სისტემის მონა ხარ“. ჭიათურის მანგანუმის მუშების პროტესტის პარადიგმად, ქაღაქში გაჩნდა გრაფიტი წარწერით „მონა არა, მუშა“. გრაფიტიზე გამოსახულია კაცი, რომელიც შუა თითს გვიჩვენებს.

თბილისში გავრცელებული პოლიტიკური სტენსილების ნაწილს „HVIT“ აწერს ხელს. ამ არტიტმა ფილარმონიის მიწისქვეშა გადასასვლელში სტადიონის პორტრეტი გააკეთა, რომელსაც პირდაპირი კედლიდან რენინი უმზერდა. დღეს ეს სტენსილები წაშლილია. HVIT-მა დახატა პუტინისა და სააკაშვილის პორტრეტიც. სტენსილებზე ისინი ერთმანეთს ტუჩებში კოცნიან, ქვემოთ კი, ასეთი წარწერა აქვს: MAKE LOVE NOT WAR.

გრაფერები მუშაობენ გვიან ღამე ან გამთენიისას, როდესაც ქაღაქს სძინავს. ამიტომ მათ იშვიათად ამჩნევენ. ისინი ხატავენ ვაგონებზე, მიწისქვეშა გადასასვლელებში, უდიდესი უბნებში. ხატავენ იმისთვის, რომ ქაღაქის ნაცრისფერი უბნები ღირით ჭრედი, მრავალფეროვანი და მოულოდნელი სიურპრიზებით სავსე დაგვახვედრონ. ეს ქუჩის მხატვრების სპონტანური

სტენსილი მუდამ რეალობას ეპასუხება, აკრიტიკებს არსებულ ნორმებს, ხშირად ეს იმიჯები იუმორით გაჟღენთილი პროტესტია. გრაფიტს ერთ ფერში ხატავენ, ან კედლებზე გამოსახულებას კვეთენ, კანრავენ.



გამოფენაა. დამოვაღიერებელი ძალიან ბევრი ჰყავს.

ისინი ამბობენ, რომ ქუჩის ხელოვნებას ხელოვნებაა, ამიტომ არ შეიძლება მათ შემოქმედებას კრიმინალს ვუწოდებდეთ. კანონმდებლობა კერძო საკუთრებაზე თვითნებურ, მფლობელთან შეუთანხმებელ ნებისმიერ ქმედებას დარღვევად აცხადებს. ბევრს შეიძლება მოსწონს სტრით არტი, მაგრამ ასევე არიან ადამიანები, ვისაც არ უნდათ, გრაფერებმა და სტენსილის არტიტებმა მისი სახლის კედლები თვითნებურად მოხატონ.

გრაფერი JAI 15 წლიდან გრაფიტს ხატავს. სტენსილის კეთება ეზარება.

„მისთვის სტრით არტის მთავარი ხიბლი თავგადასავალია – პოლიციასთან, მოსახლეობასთან ერთგვარი თამაში, რომელიც არ უნდა გაიშიფროს. მისი კვადი არ უნდა წაიშალოს, თან ბოლომდე ანონიმური დარჩეს. ხატავს ისეთ ადგილებში, რომლებიც თითქმის შეუჩინევია, მაგრამ თუ დაინახავ, აღარ უნდა დაგავიწყდეს. JAI ამბობს, რომ სტრით არტს ქუჩის წესები აქვს. მის ნამუშევრებს ხშირად შლიან, ან ზემოდან სხვას ახატავენ. „ვიცი, რომ ჩემი ნახატები არ არის მუდმივი. მაგრამ სანამ ამას ვაკეთებ, რამდენიც არ უნდა წამიშალონ, ან ზევიდან გადამიხატონ, მაინც მივუბრუნდები და ათასჯერ დავხატავ, რომ თავის ადგილზე დავაბრუნო.“

გრაფერი მარიაში ამბობს, რომ მისთვის სტრით არტი ძიების პროცესია, ხელოვნებაა. „ჩემთვის ესაა პროტესტი, რეაქცია ყველაზე აქტუალური პრობლემების მიმართ. ჩემი ხელოვნებას ასეთი მინდა იყოს, რადგან პროტესტის გარეშე არტი ჩემთვის წარმოუდგენელია.“ **610**

კამუფლაჟი

ნათია ჩეხერია დიტო თელიაშვიდი

ლიტერატურულ კაფეში ველოდები. შეხვედრა ექვსისთვის დავთქვით. იგვიანებს. არ ვიცი, რა გავაკეთო და გარშემომყოფებს ვუყურებ, უფრო სწორად, ვუთვალთვადებ. აქ ყოველთვის საინტერესო ხადხი დადის. აი ისეთი, წიგნებში რომ აღწერენ ხოლმე.

ვდგები და გასვლას ვაპირებ, როდესაც კარები იღება და შემოდის. მუქი წაბლისფერი თმა, ცისფერი, ნათელი თვალები და შუბრზე ძლივს შესამჩნევია ნაოჭი აქვს. საკმაოდ მაღალია, აღბათ ამიტომაც აცვია დაბადქუსიანი ფეხსაცმელი. წვიმს. სავარაუდოდ, ამინდმა უბიძგა, მუქ ფერებში გამწყობილიყო.

რამდენიმე წამით ყველას მზერა მისკენაა მიმართული.

„სამსახურიდან ძლივს გავთავისუფლე“, – მეუბნება და იცინის, – „ჯერ მიღება არ უნდოდათ, ახლა აღარ მიშვებენ.“

მიამბობს, როგორ გაუჭირდა სამსახურის დაწყება. მობილურით „უწინდელი დიკას“ ფოტოებს მაჩვენებს. სურს სხვანაირად გამოიყურება – “Before And After” ამბობს და იცინის.

„რატომღაც ითვლება, რომ თუ დამაბი ხარ, თავს უვდი, ჩაცმულობითაც გამოირჩევი – აუცილებლად სუდელი ხარ. ძალიან დამთრგუნველია. მასკომუნიკაციის ბაკადავრი გავხდი თუ არა, სხვადასხვა ადგილას დავიწყე მუშაობა. ჩემი თავის გამოცდა მინდოდა.“

გავიგე გასაუბრება იყო სამსახურის თაობაზე და მაშინვე ჩემი CV-ით გავუქანე, არ ვიტყვი, სად. ახლაც იქ ვმუშაობ. ყველაფერი ისე უჩვეულოდ მოხდა, რომ გახსენები-სას, დღესაც მეცინება.

დამინახეს თუ არა, მითხრეს, მონაცემები დატოვეთ და დაგირეკავთო. ერთი კითხ-




ბევრს ეცადა, მაგრამ ჯგუფის წევრი მაინც ვერ გახდა. თვითონ ფიქრობს, რომ ამის მიზეზი სულაც არ იყო მათი განსხვავებულობა. პირიქით. ბევრი საერთოდ აქვთ: პირველ რიგში – დრო, დექიები, დექტორები, ინტერესთა სფერო, მაგრამ სხვაობაც არის – ფინანსური და სოციალური სტატუსი.

ვაც არ დაუსვამთ. მაშინვე მივხვდი, რაც ხდებოდა. სახლში გაბრაზებული მივედი. თმა გადავიღებე, „შპიდკები“ დროებით დავივიწყე, სათვალე გავიკეთე (უფრო საქმიანი რომ გამოვჩენილიყავი) და უკან დავბრუნდი. ამიყვანეს!“

ხელში სიგარეტი უჭირავს. თითქოს მოკიდებას ცდილობს, მაგრამ ამის ნაცვლად ხელში სრესს და ილიმის. ერთი წუთი ფიქრობს. ველოდები. მერე მეკითხება: „შენ რას ფიქრობ სტერეოტიპებზე?“

ზოგჯერ შეკითხვები ჯობია პასუხებს. ეს სადღაც წავიკითხე თუ მოვისმინე და ტატუ-სავით ჩამებეჭდა გონებაში.



მეგობრებთან ვამბობ, რომ სტატიის დაწერას ვაპირებ სტერეოტიპებზე. მაინტერესებს, ვინ რას გაიხსენებს. კითხვის დასასაც ვერ ვასწრებ, რომ მარი წამოხტება: „თეთრი ყვავი რომ ხარ, ეგეც ხომ ითვლება? აი, მე მასე ვიყავი ჩემს უნივერსიტეტში. თითქმის წინასწარ შედგენილი წესები დამხვდა, რომედსაც უსიტყვოდ უნდა დავმორჩილებოდი.“

ეგრეთ წოდებულ ედითურ ჯგუფზე ჰყვება, რომედში მოხვედრა არც თუ ისე ადვილია. ემოციურად, ნაწყენი და გაბრაზებული დაპარაკობს.

„ან „შემეტენე“ გამოდიხარ, ან ცაღვე

მდგომი სახედმწიფო. ორივე შემთხვევაში წაგებული რჩები.“

ბევრს ეცადა, მაგრამ ჯგუფის წევრი მაინც ვერ გახდა. თვითონ ფიქრობს, რომ ამის მიზეზი სუდაც არ იყო მათი განსხვავებულობა. პირიქით. ბევრი საერთოც აქვთ: პირველ რიგში – დრო, დეტალები, დეტორები, ინტერესთა სფერო (ყველა Big Brother-ობას აპირებს) მაგრამ სხვაობაც არის – ფინანსური და სოციალური სტატუსი.

მარი ამბობს, რომ ეს პროცესი საქმიან გარიგებას ჰგავს. შეთანხმება მიღწეულია მაშინ, როდესაც არსებობს პასუხი მთავარ კითხვაზე: რა გაქვს და რა შეგიძლია?

„ხშირად გადის ფიქრები, სადაც სკოლებში და უნივერსიტეტებში თინეიჯერების ერთი ჯგუფი მეორეს აბუჩად იგდებს და ამცირებს. მე მესამე ჯგუფიდან ვარ – ნეიტრალურებიან. ყველაზე ცუდი ისაა, რომ არიან დეტროები, ვინც სწორედ ასეთ, ღომინანტ სტუდენტებს უჭერენ მხარს და არასდროს აკრიტიკებენ მათ სხვების შეურაცხყოფის გამო. აბა, რა უნდა მოსთხოვო სტუდენტს, თუ დეტროი ასე იქცევა?“

თეონა უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს. სამი წელია, მართო ცხოვრობს. „27 წლის ვარ. თან გაუთხოვარი. ეს უკვე ტრაგედიაა! ნაცნობები, მეგობრები რომ მხვდებიან, ყველას ერთი რამ აინტერესებს: როდის ვთხოვდები და რატომ აქამდე არ „მეშვეია“?“

აღრე ყურადღებას არ აქცევდა ასეთ მომაბეზრებელ და უტაქტო შეკითხვებს, მაგრამ ცოტა ხანში საკუთარ თავში პრობლემის ძიება მაინც დაიწყო. „დეპრესიაში ჩავვარდი. ამ დროს, ვხვდები, რომ ეს პრობლემები ბავშვობიდან, ოჯახიდან მომყვება. მაგრამ არ ვიცი, როგორ ვუშველო თავს.“ საღამოს



რატომღაც ითვლება, რომ თუ დამაბიხარ, თავს უვლი, ჩაცმულობითაც გამოირჩევი – აუცილებლად სუდელი ხარ. ძალიან დამთრგუნველია.

გარეთ გასვდას, ან მეგობართან დარჩენას ყოველთვის უკრძადავდნენ. დროს უნიშნაგდნენ – სახლში თერთმეტზე გვიან არ უნდა მისუდიყო: „როგორ შეიძლება გოგო ღამე ქუჩაში დადიოდეს, რას იფიქრებს ხადხი?“

არ უნდოდა ასე ცხოვრება და როგორც კი შანსი მიეცა, ცადვე გადავიდა. თვითონ თვლის, რომ პრობლემა მხოლოდ ნაწილობრივ გადაჭრა. „მაინც ყოველ წუთს მირეკავვენ და მაკონტროლებენ. ამას სიყვარულით და ზრუნვით ამართლებენ. მე კი, აღარ შემიძლია!“

ფსიქოლოგი გიორგი ღონაძე ამბობს, რომ ნორმები აყალიბებს სტერეოტიპებს და ამ პროცესს მედია ძალიან უწყობს ხელს. სტერეოტიპების განმაპირობებელი ფაქტორი არაინფორმირებულობაა. ასე იქმნება შაბლონური ქცევის მოდელები, რაც ადამიანების ერთმანეთთან ღია კომუნიკაციას უშლის ხელს.

„ჩემი ხშირი პაციენტები სტერეოტიპების მსხვერპლი არიან. მოდის ქალი, რომელსაც ქმართან გაშორება უნდა. ქმარი მოძალადე, მოთამაშე, ნარკომანია. ქალს კი, მაინც ვერ გადაუწყვეტია, რა ქნას. დარდობს იმაზე, თუ რას იფიქრებს დედა, მამა? ბავშვი როგორ უნდა გაიზარდოს უმამოდ? რას იფიქრებს ხადხი? ეს დაშვებები ხელს უშლის მას გადაწყვეტილების მიღებაში. ზღვარი სტერეოტიპსა და თავისუფლებას შორის გადის იქ, სადაც დისკომფორტი იქმნება.“

ლიკას დასმულ შეკითხვას, თუ რას ვფიქრობ სტერეოტიპებზე, ასე ვპასუხობ:

„სტერეოტიპების გარეშე ცხოვრება, უბრალოდ, არ არსებობს. ეს ერთდროულად ცოდნაა, რომელსაც ან გამოწვევად აქცევ, ან შაბლონად მიიღებ. ყველა თვითონ ირჩევს. არჩევანი მეც გაკეთებული მაქვს – მინდა, ჩემი როდი და ადგილი ცხოვრებაში მე თვითონ ვიპოვნო.“

საუბარში დრომ ისე გაირბინა, ვერც შევამჩნიეთ, რამდენი ხანი ვისხედით ერთ ადგილას. გარეთ ჩამოხვედებოდა. ღიკა საათზე იყურება: „ცხრა ხდება. წამო, წავიდეთ, თორემ რას იტყვის ხადხი, ამდენი ხანი რომ ვჩერდებით აქ ჩვენთვის?“

ორივეს ხმამაღლა გვეცინება და ანგარიშს ვითხოვთ. **610**



ლაბორატორია 1918

მარი დუდუნია გიორგი გოგუა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ლაბორატორია 1918“-ის წევრს ვხვდები. ეზო ცარიელია, სკამზე ერთადერთი სტუდენტი მის. კაბაში ფურცლები უწყვია და ცაში იყურება.

სუდ რაღაც ორი თვის წინ, აქაურობა სავესე იყო სტუდენტებით, პრეკატებით, შეძახილებით: „არა წამებას!“ „არა ძაღლობას!“ „სისტემა უნდა დაინგრეს!“ ახლა სიჩუმე და სიცარიელეა.

უნივერსიტეტის კიბეზე მათე გაბიციანაშვილი მელოდება. ცოტა დრო გვაქვს, „ლაბორატორია 1918“-ის წევრები 7 სთ-ზე გერმანული ფონდის წარმომადგენლებს უნდა შეხვდნენ, რაღაც პროექტზე სასაუბროდ.

ეს ახადგამრღები ყველას კარგად ახსოვს – სექტემბრის პროტესტისთვის მთავარი მუხტის მიმცემი სტუდენტები და ერთ-ერთი

ყველაზე პოპულარული დოზუნგის ავტორები: „სისტემა უნდა დაინგრეს!“

უნივერსიტეტში სანამ შევადო, მათეს ვილაღ ეძახის. „ეს დიტო ხუსკივაძეა, ერთ-ერთი ლაბორატორიელი“, – მიხსნის მათე.

„ლაბორატორია 1918“ ერთი წლის წინ შეიქმნა. სტუდენტურ გაერთიანებას დიდებები არ ჰყავს. აქ ყველას ხმა ერთნაირად მნიშვნელოვანია. გადაწყვეტილებას კონსენსუსით იღებენ, ისე, როგორც ეს 1968 წლის სტუდენტური ამბოხის დროს ხდებოდა. „ლაბორატორია“ მუდმივ ცვლილებას და ცდას ნიშნავს, 1918 კი უნივერსიტეტის დაარსების წელია. მათ უნდათ გარდაქმნა აქედან, უნივერსიტეტიდან დაიწყონ.

2011 წელს „ლაბორატორიამ“ საზოგადოებას თავისი სათქმელი მანიფესტით გააცნო. სტუდენტების განცხადებით, მათი პროტესტის



„ჩვენთვის სისტემის ღანგრევა არ არის ერთი პოლიტიკოსის მეორეთი ჩანაცვლება. ჩვენთვის ეს ღირებულებათა სისტემის რღვევაა“.

მიზეზი ის სასწავლო სისტემა იყო, რომელიც მათ სრულფასოვანი განათლების მიღების საშუალებას არ აძლევდა. სტუდენტები ითხოვდნენ ავტონომიურ, დამოუკიდებელ ინს-

ტიტუციას, რომელიც ხედს შეუწყობდა ახად-გაზრდებში თავისუფალი აზრისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

17 სექტემბერს გამართულ აქციაზე „ლაბორატორია“ რეაღიროვებდა ავტონომიას, გათავისუფლებული დეტორების დაბრუნებას, რეგენტთა საბჭოს დაშლას და ერთ-ერთი დეკანის, ანდრო ბარნოვის გათავისუფლებას მოითხოვდა. „მშვიდად განისვენე, განათლებავ!“ ეწერა აქციის დროს ერთ-ერთ ტრანსპარანტზე.

„ლაბორატორია“ აქტიური მხოლოდ სექტემბრის მოვლენების დროს არ ყოფილა. ისინი



შექმნისთანავე ამბობდნენ, რომ სოლიდარობას უცხადებენ ყველას, ვისაც თანადგომა სჭირდებოდა. აპროტესტებდნენ შრომის კოდექსს, ითხოვდნენ სოლომონ ქიმერიძის გარდაცვალების მიზეზის დადგენას. გამოცხადებულ უნდნენ ყველა საქმეს, რომლის გამოძიებასაც სახელმწიფო არ ჩქარობდა.

გარკვეული ავტორიტეტის მოპოვების შემდეგ, „დაბორატორია 1918“-ს პოლიტიკური გავლენებისგან თავის დაცვაც უწევდა. მათთან ურთიერთობის დამყარებას ყველა პოლიტიკური ძალა ცდილობდა. მაგრამ, ახალგაზრდებს არ უნდოდათ, რომელიმე პარტიის

„საკუთრებად“ ქცეულიყვნენ. „ამის გამოცდილება არსებობს ამ ქვეყანაში, არ გვინდა, ძველი შეცდომები გავიმეოროთ. პროცესების მართვა მხოლოდ მუდმივი სიფხიზის შენარჩუნებით, პროტესტით შეიძლება.“ სტუდენტებს პრეტენზიები ახად ხელისუფლებასთანაც აქვთ: „დაბორატორია“ ახალი მთავრობისგან უფასო განათლების სისტემის შექმნას ითხოვს. ისინი ფიქრობენ, რომ მთავარი მიზანი ქვეყანაში განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაა.

„დაბორატორიის“ წევრი ანი ჭანკოტაძე მიიჩნევს, რომ ცვლილებები ეტაპობრივად უნდა მიიღწეს. დასაწყისისთვის, შეიძლება სწავლის საფასურმა დაიწიოს, მეორე ეტაპი კი გადასახადის საერთოდ გაუქმება იყოს.

ხელისუფლების შეცვლიდან რამდენიმე დღეში ტყიბულელი მეშახტეები გაიფიცნენ. ისინი აპროტესტებდნენ მაღაროებში არსებულ ვითარებას და ხელუფლების გაორმაგებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ითხოვდნენ. „დაბორატორია 1918“-ის წევრები მათთან ჩავიდნენ და მუშებს სოლიდარობა აღგიდზე გამოუცხადეს. მოგვიანებით, ისინი ყვითელი ავტობუსის მძღოლების პროტესტსაც შეუერთდნენ. შრომითი უფლების დაცვა დღემდე მათ მთავარ პრიორიტეტად რჩება. „დაბორატორიაში“ მიიჩნევენ, რომ სისტემის ნგრევა სწორედ სოლიდარობის განცდით, სხვების უფლებების დაცვით შეიძლება დაიწყოს.

ისინი ამბობენ: „ჩვენთვის სისტემის დანგრევა არ არის ერთი პოლიტიკოსის მეორეთი ჩანაცვლება. ჩვენთვის ეს ღირებულებათა სისტემის რღვევაა. ჩვენ სააკაშვიდს და მის გუნდს მხოლოდ იმიტომ არ ვებრძოდით, რომ ისინი ცუდი ტიპები არიან. ჩვენ მათში ღირებულებებს ვებრძოდით. თუ დღევანდელი განათლების მინისტრი ფიქრობს ისევე, როგორც მისი წინამორბედი; თუ დღევანდელი ხელისუფლება დააფუძნებს სისტემას იმაზე, რასაც ვებრძოდით, ჩვენ ბრძოლას ისევ განვაგრძობთ. ეს არ შეწყდება მანამ, სანამ ჩვენ ამ ღირებულებებს აღამიანებამდე არ მივიტანთ. ასე რომ, სისტემა არ დანგრეულა. მისი დანგრევა ძალიან ხანგრძლივი პროცესია. და ჩვენ ამისთვის მზად ვართ.“ **610**



ახალგაზრდებს არ უნდათ რომელიმე პარტიის „საკუთრებად“ იქნენ. „ამის გამოცდილება ქვეყანაში არსებობს, არ გვინდა ძველი შეცდომები გავიმეოროთ. პროცესების მართვა მხოლოდ მუდმივი სიფხიზის შენარჩუნებით, პროტესტით შეიძლება.“



მოთამაშე

ღიმი ნოღია, მერი ხვიჩია

3 აზინოში პირველად მივდივარ. შესასვ-
დედში, დახდთან ორი ახადგამრდა გოგონა
მის. პირადობას მოხოვენი და ჩემი მო-
ნაცემები ბაზაში შევყავთ. ხუთ წუთში მარე-
გისტრირებენ.

– ნამდვირად თქვენთვის ბრძანდებით?

– კი, კი...

– ესე იგი, ჩვენთან პირველად ხართ?

– დიახ.

– ძალიან კარგი. შემდეგ მოსვლაზე, უბრა-
ლოდ, თქვენს გვარს მეტყვიით და პირდაპირ
შეგბრძანდებით. ახლა ქუდი მოიხადეთ, თუ შე-
იძლება, ფოტოს გადაგიღებთ.

– წარმატებას გისურვებთ!

ჰოლში სიგარეტის კვამლი დგას. მრგვალი მა-
გილებთან დაფიქრებული სახეებით სხედან. თა-
ვისუფად ადგილს ვეძებ. დარბაზის შუაგულში,
მაგიდას ორნი უსხედან – ერთი ქალი და კრუ-
პი. მათკენ მივდივარ. ქალს მიმიკა არ ეც-
ვდება, ფიქვებს თითქოს მექანიკურად აწყობს
მაგიდაზე. სიგარეტს მანტად ეწევა. მღელვა-
რება არაფერზე ეტყობა. გვერდით ვუჭდები.
მამჩნევს, რომ თამაში არ ვიცი. პირველად
ხარო, მეკითხება და მიღიმის. ათი წუთი მიხ-
სნის თამაშის არსს. სასიამოვნო ხმის ტემბრი
და ღამაში ხედები აქვს. თითებზე ვაკვირდე-
ბი, კარტს ოსტატურად და თან ედევანტურად
ისვრის. კრუპიესთან სიტყვაც არ სცდება, არც
კი უყურებს. ვაკვირდები, როგორ თამაშობს და
ვხვდები – ეს პროცესი რაღაცით სექსს ჰგავს
– არ ჩერდება მანამ, ვიდრე ორგაზმს არ აღ-
წევს.

“პირველად კამინოში გასართობად შევედი”,
– მოულოდნელად იწყებს საუბარს, – „ახალი
ჩამოსული ვიყავი ევროპიდან. თითქმის სულ
ვიგებდით. როგორ აგინხნათ, ასეა: როცა არ
ხარ დაძაბული, მხოლოდ გართობის მიზნით თა-
მაშობ და არა იმიტომ, რომ სახეში საჭმელის
ფული გაქვს მისატანნი, უმეტესად იგებ.

როდესაც ბავშვის სწავლის ფულის მოგე-
ბა გინდა, იძაბები და „პადასა“ მიღის.

